ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მაჟორიტარი წევრის ნინო ლაცაბიძის 2019 წლის ანგარიში

. 2017 წლიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრი.

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი .

- ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო " - ს ფრაქციის წევრი.

. 2018 წლის ნოემბრის თვიდან 2019 წლის 16 აგვისტომდე გახლდით იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი .

. 2019 წლის აგვისტოს თვიდან ვარ ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე .

მივლინებები

2019 წლის 11-საქტემბრიდან 13-სექტემბრის ჩათვლით მივლინებით ვიმყოფებოდი ფინეთში ქალაქ ტურკუში, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა კონფერენციის (CORLEAP)-მე 9 ყოველწლიურ შეხვედრაზე.

შეხვედრაზე თანამშრომლობის პროგრამების საშუალებით ხალხთა შორის კონტაქტებ ის დამყარების, საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების და ადგილობრივი და რეგ იონული წარმომადგენლების მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების პროც ესში მონაწილეობის საკითხები განვიხილეთ.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

- 2018-2019 წელს ჩატარებული საკრებულოს 18 სხდომიდან დავესწარი 17 სხდომას. მივიღეთ 371 განკარგულება და 95 დადგენილება.

- 2018-2019 წელს ჩატარებული, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა 17 კომისიის სხდომიდან , დავესწარი 16 სხდომას, სადაც განვიხილეთ 22 საკითხი .

- 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 16 აგვისტომდე ვიყავი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, სადაც დავესწარი 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 368 საკითხის განხილვაში.

- ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსათვის " , 2018 – 2019 წლებში ჩატარებული 21 სხდომიდან, დავესწარი 20 სხდომას. განხილული 24 საკითხიდან მონაწილეობა მივიღე 21 საკითხის განხილვაში.

- 2019 წლის 19 აგვისტოდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე, სადაც ჩავატარეთ 3 სხდომა და განვიხილეთ 4 საკითხი.

ჩვენს რაიონში არსებული საბავშო ბაღების რეაბილიტაცია / ახალი ბაღის აშენება

ქალაქ თბილისის ისნის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ საექიმოს ქუჩაზე მიმდინარეობს N-30 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში, საწყისი ეტაპიდან ვარ ჩართული და ისნის რაიონის გამგეობასთან ერთად ყოველდღიურად, ვახდენთ აღნიშნული ბაღის მშენებლობითი სამუშაოების მონიტორინგს, მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვას და კოორდინირებულ მუშაობას თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან.

N-109 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღის საკითხი,რომელიც ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზთა ბიუროს დასკვნის საფუძველზე დაიხურა, (მას მიენიჭა ავარიული შენობის სტატუსი) , დღესაც მნიშვნელოვანია ჩვენს უბანში მცხოვრები ადამიანებისთვის, ამიტომ თბილისის მერიასა და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ, ზემოაღნიშნული ბაღის მშენებლობის პროექტის შემუშავებაზე და მის დასრულებაზე . ამ ეტაპისათვის აღნიშნული ბაღის მშენებლობის პროექტზე მუშაობს ლევან სამხარაული სახელობის ექსპერტთა ბიურო ,2020 წლის დასაწყისში დაიწყება აღნიშნული ბაგა-ბაღის მშენებლობა .

რაიონში არსებული საჯარო სკოლები

ჩვენს უბანში არის 4 საჯარო და 1 კერძო სკოლა. ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საჭიროებიდან გამომდინარე, ისნის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სკოლის ტერიტორიაზე შევხვდით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ნათია ზედგინიძეს, სადაც განვიხილეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები. იქედან გამომდინარე, რომ სამინისტრომ პრიორიტეტად არ მიიჩნია, სკოლის სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ჩვენ შევთავაზეთ, რომ აღნიშნული ტერიტორია გადმოსულიყო მუნიციპალურ ბალანსზე, რათა გამგეობას განეხორციელებინა სპორტული მოედნის

სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მივწერეთ ოფიციალური წერილი, რათა 85-ე საჯარო სკოლის ტერიტორია გადმოსულიყო მუნიციპალიტეტის ბალანსზე. სამინისტრომ შეისწავლა წარმოდგენილი კორესპოდენციები და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციისა და პოზიციის გათვალისწინებით გვაცნობა, რომ ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს (CEB)-სა და საქართველოს მთავრობას შორის 2016 წლის 18 ოქტომბერს ხელმოწერილი „თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტის" ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით დაზუსტებულია სარეაბილიტაციო/ასაშენებელი საჯარო სკოლების სია, მათ შორის არის სსიპ ქალაქ თბილისის N85 საჯარო სკოლაც. აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებში ასევე გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიის სრული კეთილმოწყობა, მათ შორის სპორტული სტადიონიც.

ჩვენი მიზანია გავზარდოთ ახალგაზრდების ჩართულობა თვითმართველი ორგანოების მუშაობის პროცესში, გამოვიწვიოთ მათი დაინტერესება და გვქონდეს მჭიდრო კავშირი, ამიტომ ჩვენს რაიონში არსებულ საჯარო სკოლებთან გვაქვს ხშირი კომუნიკაცია და ამავე სკოლების მოსწავლეებს ვთავაზობთ სხვა და სხვა პროექტებში მონაწილეობას, როგორც დაგეგმვის ისე აღსრულების კუთხით.

ჩემი მაჟორიტარობის საწყისი ეტაპიდანვე, როდესაც ახალგაზრდებთან მქონდა შეხვედრები, ისინი ხშირად მიმითითებდნენ, რომ ჩვენს რაიონში არ იყო ისეთი, სივრცე სადაც ისნის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები გაატარებდნენ თავისუფალ დროს, წაიკითხავდნენ მათთვის საინტერესო წიგნებს და მოიძიებდნენ მათთვის სასარგებლო ინფორმაციას. ჩემთვის ძალიან მწვავე აღმოჩნდა ასევე ისიც, რომ ეს ახალგაზრდები ქალაქის სხვა რაიონებში არსებული მედიათეკით სარგებლობდნენ. სწორედ მაშინ დავისახე მიზნად, რომ ჩვენს რაიონში ყოფილიყო ისეთივე მედიათეკა, რომლითაც ისარგებლებდნენ ახალგაზრდები.

ისნის რაიონის გამგეობასთან ერთად შევარჩიეთ ადგილი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N-156-ის მიმდებარედ , სადაც 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში აშენდება აღნიშნული მედიათეკა , ამ ეტაპისათვის შესრულებულია საპროექტო სამუშაოები , ხოლო მისი მშენებლობა დაიწყება ახალი წლის დასაწყისში.

მოსახლეობასთან ურთიერთობა

მე როგორც საკრებულოს წევრი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემების შესწავლის საკითხს, ჩემი მიზანია, არა მოქალაქეთა რაოდენობაზე კონცენტრირება, არამედ მათი პრობლემების თუ მოთხოვნების ზედმიწევნით შესწავლა და შემდეგ ამის მოგვარება. ჩემი ამოცანაა თითოეულ მოქალაქეს დავუთმო იმდენი დრო, რამდენიც საჭირო იქნება საკითხის სრულფასოვნად შესწავლისთვის, ვფიქრობ სწორედ ასეთი პრაგმატული მიდგომით შევძლებთ, საზოგადოებისა და თვითმართველ ორგანოებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბებას, გაცილებით პროდუქტიული რეზულტატის მიღებას .

შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა ხასიათისაა : სოციალური,ჯანდაცვის,ურბანული და ინფრასტრუქტურული,კულტურულ-საგანმანათლებლო.

ყოველ კონკრეტულ საკითხს სჭირდება ინდივიდუალური შესწავლა, სწორედ ასეთი მიდგომით 2018 წლიდან დღემდე თითოეულ მოქალაქეს გაეწია კონსულტაციები, სხვა და სხვა ხასიათის დახმარება/შუამდგომლობა.

ჩვენს მოქალაქეებთან პერმანენტული შეხვედრები მაძლევს საშუალებას, მქონდეს ინფორმაცია ჩემი სამაჟორიტარო ოლქის პრობლემებსა და მოთხოვნებზე, რის შედეგადაც ვახდენ პრიორიტეტების გამოყოფას, დაწყებული სამუშაოების მონიტორინგს და რაიონისთვის სასარგებლო პროექტების დაგეგმვას.

2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე რაიონის მაცხოვრებლებთან შედგა 55-შეხვედრა სხვა და სხვა მისამართზე.

წარმომადგენლობაში მიღებულ იქნა 778- მოქალაქე, ხოლო შემოსული წერილების რაოდენობაა 168 .

2020 წლის ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მივიჩნიე საჭიროდ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავების დროს, აუცილებელი იყო მოსახლეობის ჩართულობა, აქედან გამომდინარე 11 დღის განმავლობაში, შევხვდი ჩემს სამაჟორიტარო ოლქის, თითოეულ უბანზე მცხოვრებ მოსახლეს, როგორც უფროსი თაობის ასევე მომავალი თაობის წარმომადგენლებს. ჩვენ მოვახდინეთ პრობლემების იდენთიფიკაცია,ისნის რაიონის გამგებელთან ბატონ კახაბერ ლაბუჩიძესთან ერთად ვიმუშავეთ და გამოვყავით პრიორიტეტები, დავსახეთ სამოქმედო გეგმა და მოვახდინეთ კონსტანტაცია 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ასეთ მნიშვნელოვან პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ აქედან გამომდინარე, მათი ხედვები და მოთხოვნები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული და ასახული 2020 წლის ბიუჯეტში.

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში დაახლოებით 13 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქეა,აქედან გამომდინარე მომმართვიანობა დიდია სხვადასხვა სახის შუამდგომლობის გაწევის თხოვნით.

მედიკამენტებით, უზრუნველყოფაზე,ქირურგიული ოპერაციული მკურნალობის ხელშეწყობაზე, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე, სამშენებლო მასალაზე და ბინის ქირის დაფინანსებაზე , ასევე იყო სხვადასხვა კოლექტიური განცხადებები, სხვადასხვა კერძო კომპანიებთან შუამდგომლობების მოთხოვნაზე.

შუამდგომლობები :

ჯამში შუამდგომლობები შეადგენს 172-ს.

მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია 111 მოქალაქეს:

მედიკამენტებით დაკმაყოფილდა 42 მოქალაქე :

მკურნალობა , დიაგნოზტიკა , ოპერაცია , გამოკვლევების მოთხოვნით შუამდგომლობა გაუწიეთ 15 მოქალაქეს .

სხვა და სხვა : 4 მოქალაქეს

ქალაქ თბილისის მერიას მივმართეთ:

- 18 შუამდგომლობით

ასევე ჩვენს მოქალაქეებს გავუწიეთ

- 9 შუამდგომლობა სხვა და სხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომართავდა სამსახურის დაწყების მიზნით , რეკომენდაცია გავუწიე 23 ადამიანს და ამ ადამიანთა უმრავლესობამ დაიწყო მუშაობა სხვა და სხვა სახელმწიფო სამსახურში .

მიწის ლეგალიზება, დაკანონების საკითხი.

მოქალაქეთა მომმართვიანობა ამ კუთხით აქტიურია,მათი ძირითადი პრობლემა წარმოადგენს პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას,საჭირო საბუთების შეგროვებას,მათ უწევთ სათანადო კონსულტაციას,დახმარება გაუწიეთ 41 ადამიანს.

რაიონში არის 17 კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტები, 640 დევნილი ოჯახი.

რომელთა ძირითად პრობლემას წარმოადგენს საცხოვრებელი ფართების დაკანონება და ინფრასტრუქტურული საკითხები.

1) წულაძის ქ.N-29 ში საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადაეცა 3 ოჯახს.

2) ბერი გაბრიელ სალოსის მე-5 შესახვევის 1 კორპუსში მცხოვრებ 5 ოჯახს საკუთრებაში გადაეცათ ბინები

3) ბერი გაბრიელ სალოსის 117 ში მცხოვრებ 5 ოჯახს გადაეცათ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინები.

ღონისძიებები

2019 წლის პრიორიტეტული საკითხები წლის დასაწყისში გამოვყავით , რომელიც წარმომადგენლობის 4 - წლიან სტრატეგიულ გეგმაში გვაქვს ასახული , (სტრატეგიული გეგმა სამოჟორიტარო ვადის პერიოდში გავწერეთ 2017 წელს) .

პრიორიტეტული საკითხები :

1) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათი პრობლემების იდენტიფიცირება და სათანადო გარემოს შექმნა :

2) ახალგაზრდების ჩართულობა თვითმმართველობის პროცესებში :

. წარმომადგენობის თანამშრომლებმა მოვიძიეთ ისნის რაიონში მცხოვრები აქტიური შშმ პირები , ასევე შშმ ბავშვების მშობლები , მათთან ურთიერთობამ გამოკვეთა რაიონში არსებული პრობლემები და გადავწყვიტეთ , რომ მათ შეექმნათ საინიციატივო ჯგუფი , განვიხილეთ ამ ჯგუფის შექმნის არსი და მათი ჩართულობის აუცილებლობა .

საინიციატივო ჯგუფის მიზანი არის რაიონში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება , მნიშვნელოვანია მათი რეკომენდაციები , როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელების პროცესში , ასევე სხვა საკითხებთან მიმართებაში . მათთან ერთად დაგეგმილი გვაქვს სხვა და სხვა სახის ღონისძიება .

. ახალგაზრდების ჩართულობისა და თვითმმართველი ერთეულის გაძლიერების მიზნით , დავიწყეთ პროექტი „ იყავი აქტიური ახალგაზრდა „ , პროექტის მონაწილე ახალგაზრდები არიან სხვა და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები , რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ჩვენს წარმომადგენლობით ოფისში, ჩართულები არიან სამუშაო პროცესებში , ასევე მათთან ერთად ვახორციელებთ ინფრასტრუქტურულ და სხვა მიმდინარე პროექტების მონიტორინგს გასვლითი ღონისძიებებით . პროექტი გრძელდება ერთი თვის მანძილზე და შედგება 10 ახალგაზრდისაგან , ამ ეტაპისათვის უკვე მეორე ჯგუფთან ერთად ვმუშაობთ .

. წარმომადგენლობის თანამშრომლები ასევე ვმუშაობთ კვლევაზე , მონაცემთა ბაზების შეგროვება , როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური , კვლევა ორიენტირებულია მოქალაქეების ჩართულობის ამაღლებაზე და მათთვის პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირებაზე , კვლევა ასევე ითვალისწინებს , თუ რამდენად ქმედითია რაიონში დეპუტატის წარმომადგენლობის არსებობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის . შევადგინეთ კითხვარი რის საფუძველზეც მოხდება კვლევის ჩატარება , კვლევა გათვლილია ყველა სეგმენტზე, ეს კვლევა დაგვეხმარება მივიღოთ ინფორმაცია, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული, იმისათვის, რომ მოქალაქეებსა და თვითმართველ ორგანოებს შორის უფრო მჭიდრო და ხარისხიანი კავშირი ჩამოყალიბდეს.

ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი :

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ხელშეწყობით, ჩვენს რაიონში მცხოვრებ შშმ პირებთან ერთად, მოვინახულეთ პარაოლიმპიური ცენტრი, სადაც გავეცანით აღნიშნული დაწესებულების სერვისებს და დავესწარით სხვა და სხვა სახის ვარჯიშს .

. მუზეუმების კვირეულის ფარგლებში , ჩვენი რაიონის სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სახლ-მუზეუმი .

.ჩვენი რაიონის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგების საკრებულოში მიღება და მათი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მადლობის სიგელების გადაცემა .

. ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატორთან“ ერთად მოვაწყეთ მასშტაბური ღონისძიება, „ბარბარობა „ , ღონისძიებაზე მოვიწვიეთ ჩვენი რაიონის საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელები , სკოლის მოსწავლეები , სოციალურად დაუცველი ოჯახები , მრავალშვილიანი ოჯახები , სრულად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა .

. აღდგომის ბრწყინვალე დრესასწაულთან დაკავშირებით , ჩვენს წარმომადგენლობით ოფისში ვუმასპინძლეთ მრავალშვილიან ოჯახებს და მათ პატარებს , სადაც შევუქმენით საზეიმო გარემო და გადავეცით საჩუქრები .

. 2019 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ჩვენი რაიონის ერთ-ერთ სკვერში , ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებული სამხატვრო სკოლის დირექტორთან და მოსწავლეების, ქალაქის მერიისა და ისნის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით ჩავატარეთ მაშტაბური ღონისძიება, სადაც გაიმართა კონცერტი რომლის მონაწილეებიც იყვნენ რაიონის სკოლის მოსწავლეები და ჩვენს უბანში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვები.

ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფერო და ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა , სწორედ აქედან გამომდინარე განვახორციელეთ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული მამომობილის სამი დღით ჩვენ რაიონში განთავსებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ქალბატონებს მიეცათ საშუალება ჩაეტარებინათ უფასო მკერდის გამოკვლევები..

. ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ჩვენს რაიონში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ჩვენი უბნის მაცხოვრებლებთან ერთად, მოვაწყვეთ გარბენი, რომელიც მოერე წელია ტარდება და რომელშიც ჩართულობა ყოველწიურად იზრდება. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მოიცვას აღნიშნულმა ღონისძიებამ და მეტი ადამიანი ცხოვრობდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით.

. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, ქალაქის მასშტაბით დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვული საფეხბურთო სკოლების მშენებლობა. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს, როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ასევე ახალი თაობისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ ჩვენს რაიონში შევარჩიეთ ტერიტორია, საექიმოს ქ. N-2ა მიმდებარედ, რომელიც ამ ეტაპისთვის ფიქსირდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადმოვიტანოთ თვითვმართველობის ბალანსზე და მოეწყოს UEFA - ს სტანდარტების საფეხბურთო სკოლა .

. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი თუ რამხელა პრობლემას წარმოადგენს ქუჩების დანაგვიანება, ამიტომ ახალგაზრდებთან ერთად პერმანენტულად ვატარებთ დასუფთავების აქციას, რადგან კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვენახვებინა საზოგადოებისთვის საკითხის სენსიტიურობა .

ეზოების,ქუჩების,სკვერების მოწყობა,რეაბილიტაცია.

ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, 2019 წელს დაიგეგმა და განხორციელდა სხვა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

1) გზის საფარი დაიგო 9 მისამართზე - 5,323- კვ-მ .

2) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია მოხდა 6 - მისამართზე .

3) სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია განხორციელდა 4 მისამართზე. აღსაღნიშნია, რომ ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივაში, რომელიც შეეხებოდა არსებული ავტოფარეხების დემონტაჟის სანაცვლოდ სკვერის მოწყობას, ჩვენი უბნის მოსახლეობაც ჩაერთო. დაახლოებით ოცდაათმა ადამიანმა მოახდინა საკუთარი ავტოფარეხის დემონტაჟი რის სანაცვლოდაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი სკვერის მოწყობითი სამუშაოები.

4) 2019 წელს სანიაღვრე სისტემა გაკეთდა 1 მისამართზე

საგზაო სამუშაოები

2019 წელს ჩვენი უბნის მასშტაბით საგზაო სამუშაოები ჩატარდა 9- მისამართზე.

ჯამში სულ დაიხარჯა 254 475 ლარი.

1) წერნაკის ქუჩა _____ 29 308 ლარი

2) ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. კორპუსი 153 ის ეზო _____ 18 109 ლარი

3) ბერი გაბრიელ სალოსის მე-5 შესახვევი კორპუსი 10-ის წინ _____ 15 276 ლარი

4) დირსიჭალის ქუჩა _____ 24 081 ლარი

5) ნავთლუღის ქ. 24 მიმდებარედ _____ 32 745 ლარი

6) ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი 139 ის მიმდებარედ _____ 42 409 ლარი

7) წულაძის I შესახვევი _____ 9 957 ლარი

8) დოდაშვილის 22 და საექიმოს გასასველის შემაერთებელი ქუჩა _____ 79 565

9) მოსკოვის გამზირი 9-11 მიმდებარედ _____ 3 019 ლარი

აღნიშნულ სამუშაოებში პირადად ვიყავი ჩართული, რაშიც იგულისხმება ადგილზე სამუშაოების და ხარისხის კონტროლი, მოსახლეობასთან და ისნის რაიონის გამგეობასთან ერთად კოორდინირებული მუშაობა და არსებული გამოწვევების პრიორიტეტებად დალაგება.